


## სცენარების აღწერა

2019 წლის ბოლოს მსოფლიოში გამოჩენილმა ახალი ტიპის კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ ტენდენციებზე და მათ შორის საქართველოზეც. მთელს მსოფლიოში გადახედეს მიმდინარე და საშუალოვადიანი პროგნოზებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2020 წლის აპრილის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით 2020 წელს მსოფლიო ქვეყნების 90 პროცენტს უარყოფითი ეკონომიკური ზრდა ექნება. ცნობისათვის, 2009 წელს ეს რიცხვი დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენდა. მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 2020 წლისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით -3.0 პროცენტს შეადგენს. აპრილში გამოქვეყნებული ფონდის პროგნოზის შემდეგ მოვლენები დამძიმდა და შემდგომ გამოქვეყნებულ სხვა მაკროეკონომიკურ პროგნოზებში ზრდა კიდევ უფრო პესიმისტურია. მსოფლიო ბანკის მიხედვით მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 2020 წლისთვის -5.2 პროცენტამდე შემცირდება, ხოლო ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) პროგნოზის ორ სცენარს გვთავაზობს, პირველ შემთხვევაში მსოფლიოს რეალური ეკონომიკური ზრდა -6.0 პროცენტს უტოლდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვირუსის გავრცელების მეორე ტალღის შესახებ არსებული ვარაუდი რეალიზდება და საჭირო გახდება რეგულაციების კვლავ გამკაცრება მსოფლიო ეკონომიკური ზრდა -7.6 პროცენტამდე შემცირდება.

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა არ არის ერთგვაროვანი. მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც გლობალიზაციისა და მომსახურების დარგების წილი მაღალია, უფრო მაღალი ეკონომიკური კლებაა მოსალოდნელი, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. სსფ-ის პროგნოზით მოწინავე ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი -6.1, ხოლო განვითარებადი ქვეყნების (ჩინეთის გამორიცხვით) -2.2 პროცენტზეა მოსალოდნელი.

წლების განმავლობაში საქართველოში ტურიზმი ძალიან მაღალი ტემპებით იზრდებოდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ეკონომიკურ ზრდაში, რის შედეგადაც ტურიზმთან დაკავშირებით შექმნილი დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2019 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 3,268 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ვინაიდან ტურიზმი აღმოჩნდა ის სექტორი, რომელმაც პანდემიით გამოწვეული დეგლობალიზაციის პირველი დარტყმა მიიღო, 2020 წლის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა -4.0 პროცენტის დონეზე შეფასდა.

*დიაგრამა 1: 2020 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზის მედიანურ მაჩვენებელი შემოსავლის ჯგუფის მიხედვით*



წყარო: International Monetary Fund: World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April 2020; World Bank: Global Economic Prospects, June 2020.

ბოლო წლების განმავლობაში მიღწეულმა წარმატებამ ერთი მხრივ ფისკალური დისციპლინის, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკური რეფორმების მიმართულებით, მნიშვნელოვნად გაამარტივა მოლაპარაკების პროცესი დონორ ორგანიზაციებთან და საქართველო გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც მიაღწია შეთანხმებას 1.5 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზების შესახებ, მათ შორის, სსფ-დან 200 მლნ აშშ დოლარი. აღნიშნული დაფინანსება სრულიად საკმარისია როგორც საბაზისო, -4.0 პროცენტის ზრდის სცენარისათვის, ასევე ნეგატიური სცენარის შემთხვევაშიც. საბაზისო და ოპტიმისტური სცენარების მიხედვით, დამატებით მოზიდული რესურსი განთავსდება მთავრობის დეპოზიტებზე და მოხმარდება მომდევნო წლებში დაფინანსების საჭიროებებს.

მსოფლიოს ყველა რეპუტაციული ორგანიზაცია აღნიშნავს პანდემიასა და, შესაბამისად, მისგან გამოწვეული მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების მაღალ გაურკვეველობაზე. გაურკვეველობის მთავარი წყაროა ვირუსის გავრცელების ხანგრძლივობა და მასშტაბები. შესაბამისად, შემუშავებულია სხვადასხვა სცენარი, რომელიც მოვლენების სხვადასხვაგვარი განვითარების შემთხვევაში იქნება მოსალოდნელი. ამჟამინდელი შეფასებით, შედარებით ზუსტი პროგნოზის გაკეთება შესაძლებელი იქნება მესამე კვარტლიდან.

## საბაზო სცენარი

მაკროეკონომიკური პროგნოზების ცვლილებაზე სამმა ძირითადმა ფაქტორმა მოახდინა გავლენა. პირველი, და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ე.წ. „დიდი ლოქდაუნი“ მთელს მსოფლიოში, რაც საზღვრების ჩაკეტვითა და სამუშაო ძალის მიწოდების

შეზღუდვით გამოიხატა. აღნიშნულმა ფაქტორმა გავლენა მოახდინა როგორც მოთხოვნის მიმართულებით - მომსახურების ექსპორტზე მოთხოვნის შემცირების სახით, ასევე მიწოდებაზე - რაც გამოწვეულია მიწოდების ჯაჭვების რღვევითა და სამუშაო ძალის მიწოდების შეზღუდვით.

მეორე ფაქტორი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ზრდის შემცირებაა, რამაც გააძლიერა პანდემიის გამო საზღვრების ჩაკეტვის შედეგად შემცირებული საგარეო მოთხოვნა. თუ პანდემიამ გავლენა იქონია ძირითადად მხოლოდ ტურიზმის ექსპორტზე, საგარეო მოთხოვნის შემცირება ასევე აისახა საქონლის ექსპორტზეც.

მესამე მნიშვნელოვანი არხი ნავთობის ფასების შემცირებაა. ნავთობის ფასების შემცირებას საქართველოს ეკონომიკაზე ორმაგი გავლენა აქვს. ერთი მხრივ ის არის დადებითი მიწოდების შოკი, ხოლო მეორე მხრივ კი უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებზე, რაც უარყოფითი მოთხოვნის შოკს წარმოადგენს. ამგვარი შოკი მოკლევადიან პერიოდში გავლენას ვერ ახდენს წარმოებაზე, და სუსტი ეფექტი აქვს 2-3 წლის განმავლობაში, ხოლო ფასებზე გავლენა მყისიერია, და როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრიდან ფასებზე დადებითი ზეწოლა აქვს. შესაბამისად, მოკლევადიან პერიოდში სუსტი ნეგატიური გავლენა ჭარბობს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში - პოზიტიურია.

ცხრილი 1. დაშვებები ტურიზმზე

	2019		პროც. ზრდა	2020	
	მლნ. აშშ. დოლ.	მშპ-ს %		მლნ. აშშ. დოლ.	მშპ-ს %
სავაჭრო ბალანსი	-1,569	-8.8		-2,152	-12.8
ექსპორტი	9,545	53.8	-20.5	7,590	45.3
საქონელი	4,944	27.9	-3.8	4,756	28.4
რეექსპორტი	1,859	10.5	-10.0	1,673	10.0
ადგილ. ექსპ.	3,085	17.4	-0.1	3,083	18.4
მომსახურება	4,600	25.9	-38.4	2,834	16.9
ტურიზმი	3,269	18.4	-50.0	1,635	9.7
სხვა	1,332	7.5	-10.0	1,199	7.2
იმპორტი	11,114	62.6	-12.3	9,742	58.1
საქონელი	8,682	48.9	-10.0	7,816	46.6
რეექსპორტი	1,859	10.5	-10.0	1,673	10.0
სხვა	6,823	38.5	-10.0	6,143	36.6
მომსახურება	2,432	13.7	-20.8	1,926	11.5
ტურიზმი	657	3.7	-50.0	328.5	2.0
სხვა	1,775	10.0	-10.0	1,598	9.5

### დაშვებები ტურიზმზე

ამ ეტაპზე ძალიან რთულია მსჯელობა, თუ რამდენად სწრაფად აღდგება მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე, ვინაიდან მსოფლიოში პანდემია დამარცხებული ჯერ კიდევ არ არის და ერთი მხრივ გაურკვეველია საზღვრების გახსნის პერსპექტივები სხვადასხვა ქვეყნებში, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია თუ რა განწყობა ექნება საზოგადოებას მოგზაურობასთან დაკავშირებით. საბაზისო სცენარში გამოყენებული დაშვებები მოცემულია ცხრილ 1-ში.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სწრაფად მოხდება საზღვრების გახსნა, ტურიზმზე მოთხოვნის აღდგენას გარკვეული დრო დაჭირდება და საბაზისო სცენარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 50 პროცენტით მცირდება, მომსახურების სხვა დარგების ექსპორტი და რეექსპორტი 10 პროცენტით მცირდება, ხოლო საქონლის ადგილობრივი ექსპორტი ჯამში უცვლელია წინა წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია საექსპორტო პროდუქტში ნედლეულის მაღალი წილით ნედლეულზე მზარდი მოთხოვნის შენარჩუნების ტენდენციით.

რაც შეეხება იმპორტს, აქ გამოყენებულია ანალოგიური დაშვებები ტურისტულ და არატურისტულ სფეროზე. ასევე, 10 პროცენტით მცირდება საქონლის იმპორტი, რასთანაც თანხვედრაშია იანვარ-მაისის მონაცემებიც.


### დაშვებები ფისკალურ სექტორზე

გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი გავლენას ახდენს პრაქტიკულად მთელს ეკონომიკაზე, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გზებით. გარდა კრიზისის რეალური ეფექტებისა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფისკალური ეფექტებიც. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი საერთაშორისო შეფასებებით კრიზისის დროებითი ხასიათი აქვს და სხვა სახის ეკონომიკურ კრიზისებთან ერთად გაცილებით სწრაფი აღდგენა მოჰყვება, გლობალური მოთხოვნისა და აქტივობის უეცარმა და სწრაფმა ვარდნამ შესაძლებელია ლიკვიდურობის რისკის ქვეშ დააყენოს ეკონომიკის ის ნაწილი, რომელთაც შედარებით მაღალი ფიქსირებული ხარჯები აქვთ. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ მიუხედავად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6 პროცენტის ზრდისა, ფიქსირებული ხარჯების გამო, ბიზნესს არ დარჩება საკმარისი ლიკვიდობა გადასახდების გადასახდელად. ამის გათვალისწინებით, საბაზო სცენარი ეყრდნობა დაშვებას, რომ საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ მშპ-ზე ნელი ტემპით გაიზრდება (მოცემულ შემთხვევაში ნომინალური მშპ იზრდება, ხოლო გადასახადები მცირდება) და საგადასახადო შემოსავლების მშპ-სთან თანაფარდობა 2019 წლის 22.8 პროცენტიდან 20.9 პროცენტამდე შემცირდება. აღნიშნული თანაფარდობა ეტაპობრივად აღდგება და დაუბრუნდება გრძელვადიან მაჩვენებელს.


დაშვებები საგარეო სექტორზე

პანდემიასთან დაკავშირებული მოვლემები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ეკონომიკურ მდგომარეობაზე რეგიონში და საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, რაც პარალელურად გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე სავაჭრო არხის მეშვეობით. სსფ-ის აპრილის პროგნოზის მიხედვით, ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეადგენს -7.1 პროცენტს, ხოლო 2021-ში კი 4.8 პროცენტს. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია COVID-19 პანდემიის გამო ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეტვით, ინვესტიციებისა და ექსპორტის შემცირებით, რომელიც გამოწვეულია სავაჭრო პარტნიორების მოთხოვნის შემცირებით. ინფლაციის დონე 2020 წელს 0.6 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს 1.2 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი.

დიაგრამა 2: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



დიაგრამა 3: წლიური ინფლაცია რეგიონში



წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April 2020.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 2020 წელი რუსეთისთვის, რადგან კორონავირუსის პანდემიასთან ერთად, ეკონომიკურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად იმოქმედა ნავთობის საერთაშორისო ფასების შემცირებამ. შემცირდა ნავთობმომპოვების და გადამუშავების სექტორების გამოშვება, რამაც გაუარესებულ საგარეო მოთხოვნასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტი. სსფ-ის შეფასებით, 2020 წლის ეკონომიკური ზრდა რუსეთში -5.5 პროცენტით განისაზღვრა, რაც 7.4 პპ-ით ნაკლებია წინა პროგნოზთან შედარებით, ხოლო 2021-ში კი მოსალოდნელია 3.5 პროცენტისანი ზრდა. ინფლაციის დონე 2020 წელს 3.1 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 3.0 პროცენტია მოსალოდნელი. ნავთობის ფასის შემცირების გამო, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტის ბალანსი, რომელიც სსფ-ის პროგნოზის მიხედვით 2020 წელს გაუტოლდება მშპ-ს -4.8 პროცენტს, ხოლო 2021 წელს გაუტოლდება -3 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 3.8 პროცენტიდან 0.7 პროცენტამდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 0.6 პროცენტი.

თურქეთისთვის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვესტიციების შემცირება და გაუარესებული სავაჭრო ბალანსი. ამის ფონზე, საგანგებო ვითარებამ და გლობალურმა პანდემიამ დამატებითი ზეწოლა მოახდინა თურქეთის ეკონომიკაზე. სსფ-ს პროგნოზის მიხედვით, 2020 წლის რეალური ეკონომიკური ზრდა თურქეთში -5 პროცენტით განისაზღვრა, რაც 8 კპ-ით ნაკლებია წინა პროგნოზთან შედარებით, ხოლო 2021-ში კი 5 პროცენტი იქნება. თურქული ლირის გაუფასურება ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციაზე. სსფ-ის შეფასებით, 2020 და 2021 წლებში, ინფლაციის მოსალოდნელი მნიშვნელობა შეადგენს 12 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 1.1 პროცენტიდან 0.4 პროცენტამდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -0.2 პროცენტი.

ნავთობის ფასის შემცირება და კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა ასევე აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სსფ-ს შეფასებით, 2020 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა -2.2 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს კი 0.7 პროცენტი. წლიური ინფლაცია 2020 წელს გაუტოლდება 3.3 პროცენტს, ხოლო 2021 წელს - 3.2 პროცენტს. 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტის შეფარდება მშპ-თან, 8.4 პროცენტიდან -12,7 პროცენტამდე 2020 წელს, და გაუტოლდება -9.7 პროცენტს 2021 წელს. ასევე მნიშვნელოვანი შემცირებაა მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-თან შეფარდებაში, რომლის მნიშვნელობა 2019 წელს შეადგენდა 9.2 პროცენტს, ხოლო სსფ-ის შეფასებით 2020 წელს გაუტოლდება -8.2 პროცენტს, და 2021 წელს მიაღწევს -3.7 პროცენტს. პანდემიის ფონზე, შემცირებული ინვესტიციებისა და ექსპორტის გამო, სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2020 წელს განისაზღვრა -1.5 პროცენტის დონეზე, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 4.8 პროცენტიანი ზრდა. სსფ-ის შეფასებით, წლიური ინფლაცია 2020 წელს გაუტოლდება 0.8 პროცენტს, ხოლო 2021 წელს - 2 პროცენტს. ბოლო პერიოდში შემცირებული ექსპორტისა და გაზრდილი იმპორტის ფონზე, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან სსფ-ს აპრილის პროგნოზის მიხედვით შეადგენს -8.6 პროცენტს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -7.2 პროცენტი.

### **პესიმისტური სცენარი**

პესიმისტური სცენარი ეყრდნობა დაშვებას, რომ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა მწვავედ შენარჩუნდება და მატერიალიზდება, ან მნიშვნელოვნად იდგება მეორე ტალღის წარმოქმნის რისკი, რის გამოც საჭირო გახდება მკაცრი რეჟიმის შენარჩუნება/შემდგომი გამკაცრება. სავაჭრო პარნიორი ქვეყნების ეკონომიკური პროგნოზები ემთხვევა საბაზისო სცენარის პირობებს, მაგრამ გაცილებით მკაცრია საზღვრების ჩაკეტვის ხანგრძლივობა. შესაბამისად, წლის ჯამში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 80 პროცენტით შემცირდება. შემცირდება ასევე ტურისტული მომსახურების იმპორტი და ვაჭრობა 20-30 პროცენტით.

ვინაიდან პესიმისტური სცენარი უფრო მძიმე ეპიდემიოლოგიურ პირობებს ითვალისწინებს, არასწორი იქნებოდა დაშვება, რომ ასეთ პირობებში მიმდინარე ხარჯები უცვლელად შენარჩუნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ეპიდემიოლოგიური სცენარის გარეშე ეპიდემიის შეკავებისათვის აუცილებელი ხარჯების წინასწარ შეფასება შეუძლებელია, მაკრო-ფისკალური სურათის უკეთ წარმოსადგენად, ჩვენ მიანც ვაკეთებთ დაშვებას მომდინარე ხარჯების გარკვეულწილად ზრდის შესახებ ეპიდემიასთან დაკავშირებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ წარმოადგენს რაიმე სახის წინასწარ მომზადებული პაკეტის აღწერას, არამედ კეთდება მხოლოდ და მხოლოდ პესიმისტური სცენარის უკეთ წარმოსადგენად. პესიმისტური სცენარი ასახავს ერთგავრ სტრეს-ტესტს, იმ დაშვებით, რომ უფრო მძიმე ეკონომიკური რეცესიისა და ფისკალური ტვირთის პირობებში როგორი მაკრო-ფისკალური სცენარია მოსალოდნელი.

შემცირებული ნომინალური მშპ-ს ფონზე მცირდება საგადასახადო შემოსავლები. ნეგატიურ სცენარში გადასახადები საბაზისო სცენართან შედარებით 742, ხოლო წინა წელთან შედარებით 1,650 მლნ ლარით მცირდება. ვინაიდან ნეგატიური სცენარი ვირუსის ეპიდემიის გავრცელების უფრო მკაცრ დაშვებებს ეყრდნობა, დაახლოებით 1.5-ჯერ პროცენტით იზრდება ეპიდემიასთან ბრძოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი და, შედეგად, ფისკალური დეფიციტი საბაზისო სცენართან შედარებით 8.3-დან მშპ-ს 10.8 პროცენტამდე იზრდება, ხოლო მთავრობის მთლიანი ვალი 60 პროცენტთან ზღვარს უახლოვდება და მშპ-ს 59.7 პროცენტს აღწევს. ვალის ზრდაზე ასევე გავლენას ახდენს ვალუტის კურსის გაუფასურება, რომელიც ნეგატიურ სცენარში უფრო მაღალ დონეზეა მოსალოდნელი. შემდგომ წლებში ვალი დადამავალ ტენდენციას შეიანრჩუნებს.

ცხრილი 2. დაშვებები ნეგატიური სცენარისთვის

	2019		პროც. ზრდა	2020	
	მლნ. აშშ. დოლ.	მშპ-ს %		მლნ. აშშ. დოლ.	მშპ-ს %
სავაჭრო ბალანსი	-1,569	-8.8		-2,292	-13.7
ექსპორტი	9,545	53.8	-37.1	6,007	35.8
საქონელი	4,944	27.9	-10.6	4,420	26.4
რეექსპორტი	1,859	10.5	-20.0	1,487	8.9
ადგილ. ექსპ.	3,085	17.4	-4.9	2,933	17.5
მომსახურება	4,600	25.9	-65.5	1,587	9.5
ტურიზმი	3,269	18.4	-80.0	654	3.9
სხვა	1,332	7.5	-29.9	933	5.6
იმპორტი	11,114	62.6	-25.3	8,299	49.5
საქონელი	8,682	48.9	-20.2	6,925	41.3
რეექსპორტი	1,859	10.5	-20.0	1,487	8.9
სხვა	6,823	38.5	-20.3	5,438	32.4
მომსახურება	2,432	13.7	-43.5	1,374	8.2
ტურიზმი	657	3.7	-80.0	131.4	0.8

სხვა	1,775	10.0	-30.0	1,243	7.4
------	-------	------	-------	-------	-----

### ოპტიმისტური სცენარი

2020 წლის აპრილში ეკონომიკურმა ზრდამ -16.6 პროცენტი შეადგენია, ხოლო პირველი 4 თვის საშუალო ზრდამ -3.6 პროცენტი. ამ წინაპირობის გათვალისწინებით, ტურისტული სექტორის მოსალოდნელზე სწრაფი ზრდის შემთხვევაშიც კი, ოპტიმისტურ სცენარში მოსალოდნელია -2.7 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა.

ოპტიმისტური სცენარის მთავარი დაშვებაა, რომ ეკონომიკური კრიზისი იქნება ლოკალიზებული ძირითადად ტურისტულ სექტორში და სხვა სექტორებზე ნაკლებ გავლენას მოახდენს. ასეთ შემთხვევაში, ლიკვიდობის პრობლემები ეკონომიკის გაცილებით ნაკლებ ნაწილს მოიცავს და შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლებიც უკეთ გამოიყურება. საბაზისო სცენართან შედარებით, 2020 წელს ოპტიმისტურ სცენარში საგადასახადო შემოსავლების მშპ-სთან თანაფარდობა 1.1 პროცენტული პუნქტით მაღალია და 22.0 პროცენტს შეადგენს.

შედეგად, საგადასახადო შემოსავლები 776 მლნ ლარით აღემატება საბაზისო სცენარის პროგნოზს, რაც მიედინება ფისკალური ბუფერების გასამლიერებლად და მოხმარდება შემდგომი წლების დაფინანსების საჭიროებებს.



დიაგრამა 3. ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ცვლადები

